მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

წლიური ანგარიში
2011

შინაარსი

ზოგადი ცნობები
პროგრამული პრიორიტეტები
საპროექტო საქმიანობა

დანართი:

კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2011 წელს განხორციელებული პროექტები

მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი 72, თბილისი 0154, საქართველო
სააბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 35 51 54, ფაქსი (995 32) 35 57 54
ელ-ფოსტა: info@cipdd.org;
www.cipdd.org

ზოგადი ცნობები

კავკასიური ინსტიტუტი საჯარო პოლიტიკის კვლევის ცენტრია; ის, ძირითადად, საქართველოში წარმართავს თავის საქმიანობას, თუმცა სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვა-ბალტიკის სივრცეზე მიმდინარე ერთობლივ პროექტებშიც მონაწილეობს. ინსტიტუტი ხშირად არის სხვა - ქართული თუ უცხოური - სამოქალაქო ორგანიზაციის პარტნიორი ან რომელიმე კოალიციის წევრი; ამასთან, თანამშრომლობს საქართველოს ხელისუფლებასთან, პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

კავკასიური ინსტიტუტი აწარმოებს კვლევებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს საჯარო პოლიტიკის სფეროში, გამოსცემს პუბლიკაციებს შესაბამის თემებზე, აწყობს კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს და საჯარო დისკუსიებს. ინსტიტუტი, აგრეთვე, ატარებს სასწავლო ტრენინგებს და სემინარებს თავისი კომპეტენციის სფეროებში.

ინსტიტუტს ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე, გია ნოდია. მუდმივ ადმინისტრაციულ შტატს (ექვსი წევრი) ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, ავთანდილ ჯოხაძე უდგას სათავეში. საპროგრამო საქმიანობას კოორდინაციას უწევს ინსტიტუტის საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის თავმჯდომარის, აღმასრულებელი დირექტორის და პროექტების ხელმძღვანელებისაგან.

მისიის გაცხადება

ჩვენ გვინდა, რომ დემოკრატია იყოს არა ახალი დოგმატური იდეოლოგია, სადაც საზოგადოების ავანგარდი ერთადერთ სწორ იდეას ახვევს თავს "ჩამორჩენილ" თანამოძმეებს, არამედ პროცესი, რომელშიც მოქალაქეები პასუხისმგებლობას იღებენ პოლიტიკურ პროცესებზე.
კავკასიური ინსტიტუტი არის საზოგადოებრივი დისკუსიის კატალიზატორი: ჩვენ მოვიპოვებთ ცოდნას საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ, ვთავაზობთ საზოგადოებას მათ ანალიზს, შეფასებას და გადაწყვეტის ვარიანტებს, ვაფართოვებთ იმ ადამიანთა წრეს, ვისაც უნდა და შეუძლია ჩაერთოს საჯარო პრობლემებზე ბჭობაში.

კავკასიური ინსტიტუტის სტრატეგიას განსაზღვრავს და საქმიანობას ზედამხედველობს გამგეობა, რომლის წევრებიც არიან:

- მარატ ბარათაშვილი
- ოლესია ვართანიანი
- გიგა ზედანია (გამგეობის თავმჯდომარე)
- ზაზა თევზეძე
- ეკა კვესიტაძე
- გია ნოდია
- ჩარლზ ჰ. ფერბენქსი

კავკასიური ინსტიტუტის ფინანსები

ინსტიტუტის საქმიანობა დონორების მხარდაჭერაზე, მისი თანამშრომლების, პარტნიორების და კოლეგების ენთუზიაზმსა და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. მისი ფინანსების ნაწილი მოდის სხვა წყაროებიდანაც. მაგალითად, ინსტიტუტის თანამშრომლების შემოწირულობებიდან, ინსტიტუტის გამოცემების გაყიდვით მიღებული შემოსავალიდან.
2011 წელს ინსტიტუტის აქტივებმა 496208 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი შეადგინა.

პროგრამული პრიორიტეტები

2011 წელს კავკასიური ინსტიტუტი განაგრძობდა საქმიანობას სტრატეგიული გეგმით მონიშნულ სამ სფეროში: საჯარო პოლიტიკა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, სამოქალაქო ინტეგრაცია. ინსტიტუტის საქმიანობამ მოიცვა:

საჯარო პოლიტიკის შემუშავების სტანდარტული ხერხების სწავლება; პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციური ანალიზი; ეთნო და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო აქტივობის ხელშეწყობა; სკოლებში განათლების რეფორმის მხარდაჭერა და სხვა.

კავკასიური ინსტიტუტის დონორები

2011 წლის განმავლობაში ინსტიტუტის საქმიანობას შემდეგი დონორები უჭერდნენ მხარს:

- ევროკომისია (EC)
- ევანგელისტური განვითარების სამსახური (EED)
- დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED)
- ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატი (OSCE)
- ადგილობრივი ხელისუფლების და საჯარო სამსახურების რეფორმირების ინიციატივები (PASOS/LGI)
- უსაფრთხო მსოფლიო (Safeworld)
- ევროპული პარტნიორობა დემოკრატისათვის (EPD)
- საჯარო ინიციატივების ვარშავის ფონდი (FIPA)
- შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების სამსახური (SSM)
- ნიდერლანდების საგარეო სამინისტრო
- დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო
- პოლონეთის საგარეო სამინისტორო
- ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI TTF)

დემოკრატიული რეფორმები და პოლიტიკური კვლევები

2011 წლის განმავლობაში კავკასიურმა ინსტიტუტმა ფონდის - ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისათვის (EPD) მიერ დაფინანსებული პროექტის - "კაჭრეთის დიალოგები: მრგვალი მაგიდა კარგ მმართველობაზე" - ფარგლებში ექვსი მრგვალი მაგიდა მოაწყო. დისკუსიები პოლიტიკურ პარტიებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის ნდობის დასამკვიდრებლად, პოლიტიკური დებატების ინტელექტუალური დონის ასამაღლებლად და უფრო პლურალისტური პოლიტიკური საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად ჩატარდა. სადისკუსიოდ შემდეგი საკითხები შეირჩა:

- ✓ თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება
- ✓ სოფლის მეურნეობის რეფორმა საქართველოში
- ✓ საპენსიო რეფორმის თანამდევი საფრთხეები და სიკეთეები
- ✓ საგანმანათლობლო რეფორმის მომავალი, უმცირესობების სკოლებში
- ✓ შავი ზღვის სამშვიდობო ქსელი

მეექვსე მრგვალი მაგიდა დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდის (NED) მიერ დაფინანსებულ და კავკასიური ინსტიტუტის განხორციელებულ პროექტთან - "დემოკრატიული რეფორმის პოლიტიკური დღის წესრიგის შემუშავება" ერთობლივი

ღონისძიების სახით ჩატარდა და საქართველოში მიმდინარე სამართლებრივ რეფორმას მიეძღვნა. ღონისძიებაში მონაწილეობა უზენაესი და სააპელაციო სასამართლოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმაც მიიღეს.

დემოკრატიის ეროვნული ფონდის (NED) სპონსორობით წარმართულ პროექტზე მუშაობისას - "დემოკრატიული რეფორმების დღის წესრიგის შემუშავება", შვიდი ექსპერტისგან შემდგარმა მრჩეველთა საბჭომ (დავით აფრასიძე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დეკანი; გია არეშიძე – პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის; გიგა ზედანია – პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; რამაზ საყვარელიძე – პროფესორი, ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მალხაზ სალდაძე – ღია საზოგადოება - საქართველო; გიორგი ჩხეიძე – აღმოსავლეთ-დასავლეთის მენეჯმენტის ინსტიტუტი; ლევან ცუცქირიძე – ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის წარმომადგენელი საქართველოში) საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების ოთხი მკაფიოდ გამოკვეთილი პრიორიტეტი გამოარჩია და საკითხთა ის წრე მოხაზა, რომელთა შემდგომი დამუშავებაც წინასწარ მოფიქრებული მეთოდოლოგიის და კითხვარების გამოყენებით მოხდა. დაიწერა და ორ ენაზე (ქართულად და ინგლისურად) გამოიცა სამი პოლიტიკის ანგარიში (policy paper): "დემოკრატიზაციის კრიზისი საქართველოში" (ავტორი - გია ნოდია); "საარჩევნო სისტემა და პროცესი საქართეველოში" (ავტორი - დავით აფრასიძე); "სასამართლოს სისტემა და მართლმსაჯულება საქართველოში" (ავტორი - დავით აფრასიძე). ანგარიშები კავკასიური ინსტიტუტის ვებ-გვერდზეც განთავსდა; შესაძლებელია მათი ბლოგის მეშვეობით განხილვაც. გამოვლენილ პრობლემურ საკითხებზე საგაზეთო სტატიებიც გამოქვეყნდა.

კონფლიქტების მონიტორინგი და პრევენცია

კავკასიური ინსტიტუტი განაგრძობდა ეუთოს მიერ დაფინანსებული კვლევისა და ანალიზის პროგრამას - სიტუაციის მონიტორინგი სამცხე-ჯავახეთში, რომელსაც ის 2000 წლიდან მოყოლებული ახორციელებს. რეგიონული კორესპოდენტების ინდივიდუალური ანგარიშების და მედია-ანალიზის საფუძველზე ინსტიტუტი ყოველთვიურ ანალიტიკურ ანგარიშგებას ამზადებს. პროექტის ბენეფიციარები საქართველოს ხელისუფლება (საგარეო საქმეთა სამინისტრო) და ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE) არიან. წარმოდგენილი ანგარიშები მათ სამომავლო პოლიტიკის დაგეგმვაში ეხმარება.

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული - კონფლიქტის, უსაფრთხოების და მშვიდობის შესახებ ფართო და ინფორმირებული დიალოგის ხელშეწყობა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან და უსაფრთხო მსოფლიოსთან (safeworld) ერთობლივად დაიწყო და მიზნად საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების დახმარება და სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის უსაფრთხოების და სამშვიდობო პრობლემატიკის გაანალიზების უნარის გამომუშავება დაისახა. წლის განმავლობაში სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა და ქვემო ქართლში, ოთხი რეგიონული ფორუმი შედგა - დიალოგი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის. მონაწილეებმა დიალოგის პროცესში კონფლიქტების ერთობლივი ანალიზის და პრიორიტეტული სამშვიდობო ინიციატივების ტექნოლოგიები განიხილეს და გადაწყვეტილების მიმღებებს რეკომენდაციები მიაწოდეს. რეგიონებში შექმნილი ვითარება ანალიტიკური

შინაარსის საბოლოო დოკუმენტში აისახა. პროექტის ფარგლებში არაერთი შეხვედრა გაიმართა ოთხივე ხსენებული რეგიონის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. არაერთ სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლებს საკონსულტაციო მომსახურება გაეწია.

კავკასიური ინსტიტუტის, უსაფრთხო მსოფლიოს (Saferworld) და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივ პროექტის - სამოქალაქო საზოგადოების და ხელისუფლების დიალოგის გაღრმავება კონფლიქტით დაზარალებული თემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის თაობაზე - უმთავრეს მიზანს კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებში ადგილობრივი თემების გათვითცნობიერების და ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან მათი დიალოგის ხელშეწყობა წარმოადგენდა. თბილისში, ისევე როგორც საქართველოს ოთხ სხვა რეგიონში, კონფლიქტებით დაზარალებული თემების პრობლემურ საკითხებზე დისკუსიების ციკლი - "ერთად დავგეგმოთ მშვიდობა" - ჩატარდა. გამოიკვეთა სამი საფრთხე, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული. ამასთან დაკავშირებული რეკომენდაციები არა ექსპერტული ანალიზის, არამედ ადგილობრივი თემების წარმომადგენლების ხედვების საფუძველზე შემუშავდა. ოთხი სხვადასხვა რეგიონისთვის ცალ-ცალკე განისაზღვრა მშვიდობის, უსაფრთხოების და სტაბილობის სტრატეგია; შემუშავდა და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მიეწოდა საერთო-ეროვნული სტრატეგიაც, რაც პოლიტიკური ხელმძღვანელობის (გადაწყვეტილების მიმღებების) და სამოქალაქო საზოგადოების ეროვნულ, საერთაშორისო და რეგიონალურ დონეებზე დიფერენცირებული დიალოგის გაღრმავების მიზნით გაკეთდა. პროექტების შედეგები სამომავლო მშვიდობის, უსაფრთხოების და სტაბილობის მისაღევი გზების უზრუნველყოფის საჭირო ღონისძიებების გააზრების ამსახველ დოკუმენტში: "აგვისტოს ომის შედეგები" აისახა.

ამავე პროექტების ფარგლებში ათი დისკუსიის მასალა დაიბეჭდა სათაურით: "ერთად დავგეგმოთ მშვიდობა". დაინტერესებულ პირებს მასალა შეუძლიათ მისამართზე: www.cipdd.org იხილონ.

მიგრაცია-რეპატრიაციის პროცესები

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული "რეპატრირებულთა ჰუმანიტარული დახმარება, 'თვითრეპატრირებულთა' პრევენცია" - ასოციაცია "ტოლერანტთან" და აზერბაიჯანის ჰუმანიტარული კველვების საზოგადოებასთან, როგორც პარტნიორებთან, თანამშრომლობით ხორციელედება. ამ პროექტის ფარგლებში კავკასიური ინსტიტუტის ოფისში მოეწყო "საინფორმაციო კვლევითი ცენტრი", სადაც თვითრეპატრირებულებს შესაძლებლობა აქვთ იურიდიული კონსულტაციები მიიღონ მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე.

2011 წელს პოტენციური რეპატრიანტების საჭიროების გამოვლენის მიზნით ფოკუსჯგუფური კვლევა ჩატარდა. აქცენტი აზერბაიჯანული დიასპორის წევრებზე გაკეთდა. შესწავლილ იქნა უკვე რეპარტრირებულ მესხთა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულებაც.

კვლევის მასალები აისახა სპეციალურ ბოშურაში - "სამხრეთ საქართეველოდან დეპორტირებული მოსახლეობა - ფოკუსირებული კვლევის შედეგები".

ამავე პროექტის ფარგლებში დაიწერა ისტრიული ნარკვევი - "საქართველო - მესხების სამშობლო", რომელიც კავკასიური ინსტიტუტის ვებგვერდზეა განთ ვსებული. გამოიცა გზამკვლევი და სამართლებრივი პრობლემების ამსახველი ბუკლეტები. მოეწყო პრეზენტაციები და შეხვედრები ჟურნალისტებთან და სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

ახალციხეში, იანეთში, ნასაკირალში და თბილისში დამკვიდრებულ რეპატრირებულებს ჩაუტარდა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ტრეინინგები, გაეწიათ მატერიალური და დახმარება.

პოლონეთის საჯარო საქმის ინსტიტუტთან პარტნიორობით განხორცილებული პროექტი - "მიგრაციის კონტროლის და საიმიგრაციო პოლიტიკის კოორდინაციის მექანიზმების დახვეწა საქართველოში პოლონური გამოცდილების მოხმობით" მიზნად სასაზღვრო კონტროლის და მიგრაციის სფეროში ქართული პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების სტანდარტების გაუმჯობესებას ისახავდა. იმართებოდა ქართველი და პოლონელი ექსპერტების და ორივე ამ ქვეყნის საკითხით დაინტერესებული ინსტიტუტების წარმომადგენლების კონსულტაციები (შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა, შრომის და სოციალური პოლიტიკის და მიგრანტების სამინისტროები). გამოცდილების შესწავლის მიზნით ჩატარდა კონფერენციები და გაიმართა არაერთი "მრგვალი მაგიდა", გაიცვალა დელეგაციები თბილისსა და ვარშავაშას შორის.

შესრულებული სამუშაოს შედეგად: განისაზღვრა ევროკავშირთან საზღვრების კონტრლის და მიგრაციის თაობაზე შეთანხმების ხელისშემშლელი ლეგალური, ადმინისტრაციული და ინსტიტუციონალური დაბრკოლებები; სახელმწიფო დაწესებულებების პერსონალის სამოქალაქო ორგანიზაციებთან დიალოგის გზით საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი და ინსტიტუციონალური რეფორმების პროცესის გამჭირვალობა გაღრმავდა; გაიხსნა კომუნიკაცის ახალი არხები ამ საქმიანობაში მონაწილე ქართულ ინსტიტუტიებს შორის, მათ საქმიანობაში დამკვიდრდა სტრატეგიული დაგეგმვის ელემენტები; გამოცდილების გაზიარების მიზნით ვარშავაში გაიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამოქალაქო რეესტრის და საგარეო სამინისტროს 8 საშუალო დონის მოხელე... პროექტის საბოლოო შედეგები აისახა პუბლიკაციაში : "საქართველოს სამიგრაციო პოლიტიკის განვითარება, პოლონური გაკვეთილები". ბროშურა დაიბეჭდა სამ ენაზე: ქართულად, ინგლისურად და პოლონურად.

ადგილობრივი ხელისუფლების და საჯარო სამსახურების რეფორმირების ინიციატივებთან (PASOS/LGI – Local Government and Public Service Reform Initiative) თანამშრომლობით და ბუდაპეშტის *ღია საზოგადოების ინსტიტუტის* (OSI TTF) ფინანსური შემწეობით განხორციელბული პროექტი - *ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორ ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლა* აღნიშნულ ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის დაკანონების პროცესის დაჩქარებას და ამ ქვეყნების მოქალაქეთა პირადი ურთიერთკავშირების გაინტესიურებას ემსახურებოდა; ხორციელდებოდა მონიტორინგი უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებულ სამართლებრივ გადაწყვეტილებებზე და ინსტიტუტების ფორმირების პროცესზე; უსაფრთხო უვიზო მიმოსვლის საკითხში გამოცდილების ასათვისებლად მიმდინარეობდა დიალოგი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების დაინტერესებულ მხარეებთან; პროექტის ფარგლებში შეიქმნა ვებ-გვერდი www.novisa.ge

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება
და სამოქალაქო ინტეგრაცია

ევანგელისტური განვითარების სამსახურის (EED) პროექტი - "ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ახალგაზრდების ინტეგრაცია საგანმანათლებლო და კულტურული ინიციატივების მეშვეობით" - ქვეყნის საზოგაოდებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაციას საქმეს ემსახურება. ხსენებული რეგიონების მოსწავლე ახალგაზრდობაში ინტერკულტურული ურთიერთობების დასანერგად და გასავითარებლად, ბოლნისში და ნინოწმინდაში ინტერკულტურული ურთიერთობების ცენტრები გაიხსნა. ამ ცენტრების გამოყენებით ეწყობა სადისკუსიო შეხვედრები ხელოვნების დარგის მუშაკებთან, იმართება ვიქტორინები და ინტელექტუალური თამაშები მოსწავლეთა გუნდებს შორის. ახლადდაარსებულ მედია-კლუბში უფროსკლასელები დოკუმენტური და მხატვრული კინოს გადაღების ჩვევებს ეუფლებიან; რეგიონის არაქართულენოვანი მოსახლეობა მუდმივად არის საქმის კურსში განათლების რეფორმის ახალ-ახალი ინიციატივების შესახებ, რათა ხელიდან არ იქნას გაშვებული საგანმანათლობლო რეფორმის შედეგად მასწავლებლების და მოსწავლეებისათვის წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობები; ვასწავლით ქართულ ენას; ვუტარებთ სასკოლო კურსებს: "ჩემი საყვარელი ქართული მოთხრობა" "ჩემი საყვარელი აზერბაიჯანული/სომხური სიტყვა". ამ ყოველივეს კავკასიური ინსტიტუტი რეგიონალურ პარტნიორებთან: ბოლნისის "ენის სახლთან", რომლის ძირითადი მიზანი ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებაა და ჯავახეთის "ჯანსაღ საზოგადოებასთან", რომელიც სასკოლო განათლების საკიხებით არის დაკავებული - თანამშრომლობით ახორციელებს.

პროექტი - "სამოქალაქო საზოგადოება განვითრებისთვის: დეცენტრალიზაცია და მონაწილეობა საქართველოში" ერასმუსის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ინსტიტუტთან ერთად და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს (მატრას) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტი სამწლიანია. მისი მიმდინარეობის მეორე წელს აქტივობები 5 სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდა:
ტრეინნგი რეგიონული აქტივისტებისათვის: 2011 წლის აგვისტოში ბაკურიანში ტრენერთა ტრენინგის მეორე რაუნდი ჩატარდა (პირველი ჰააგაში ჩატარდა და მასში საქართველოს 8 რეგიონის 16 ორგანიზაციის წარმომადგენელი მონაწილეობდა). ტრეინინგის თემა პოლიტიკის ანალიზის მეთოდები, მონიტორინგი და ადგილობრივი თემის მობილიზების სტრატეგიები იყო. აქვე განხილულ იქნა პირველი რაუნდის გამოცდილება და დაიგეგმა სამომავლო რეგიონული ტრენინგების განრიგი. შეიქმნა ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიკაციას და მისი გადაჭრის სტრატეგიის ორდიღიანი სასწავლო მოდული, რის საფუძველზეც 2011 წლის სექტემბერ-ნოემბერში საქართველოს 8 რეგიონში ჩატარდა ტრეინიგები, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წევრების, აქტივისტების, ადგილობრივი ხელისუფლების და მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით;

პოლიტიკის ანგარიში: მომზადდა თვითმმართველობაში სამოქალაქო მონაწილეობის სიძნელეების და პერსპექტივების პოლიტიკურ-სარეკომენდაციო ნარკვევი. ნარკვევზე მომუშავე ჯგუფმა, მომზადებული დოკუმენტი ერასმუსის უნივერსიტეტის ექსპერტებს გადაუგზავნა შემდგომი დახვეწის მიზნით. ნარკვევი კავკასიური ინსტიტუტის და პროექტის ვებ-გვერდებზე დაიდება;
საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება: სამოქალაქო მონაწილეობის და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გაზრდის მიზნით შემუშავდა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კამპანიის გეგმა. ამ გეგმის თანახმად გადაწყვეტილია ესეს კონკურსის ჩატარდება საქართველოს 8 რეგიონის ახალგაზრდებისთვის. კონკურსის "რატომ არის მნიშვნელოვანი მონაწილეობა" სამოქალაქო მონაწილეობის იდეის პოპულარიზაცია და ახალგაზრდებს შორის დისკუსიის წახალისება მოჰყვება. გამარჯვებული ავტორები დაჯილდოვდნენ; ერასმუსის უნივერსიტეტის ექსპერტების თანაავტორობით მომზადდა საზოგადოების მობილიზების გზამკვლევი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებითვის, რომელიც დაიბეჭდება და გავრცელდება საქართველოს 8 რეგიონში;

რესურს ცენტი: ჩამოყალიბდა ადგილობრივი თვითმმართველობის და განვითარების რესურს ცენტი, რომელიც ფუნქციონირებს კავკასიური ინსტიტუტის ოფისში და ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის. ცენტრში ინახება 700-მდე წიგნი, ჟურნალი, სტატია და ანგარიში დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, იქვება ეს პოლიტიკური და ფინანსური პრობლემები, სამოქალაქო ჩართულობის თემა, თუ აღმოსავლეთ ევროპის, აზიის, ლათინური ამერიკის და აფრიკის ქვეყნების გამოცდილება. რესურს ცენტრის ნაწილია პროექტის საიტი www.participate.ge და facebook გვერდი, რომლებიც მომხმარებელს სასარგებლო ინფორმაციას სთავაზებოს არა მარტო პროექტის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობების, არამედ ადგილობრივი თვითთმართველობის და განვითარების საკითხებზეც;

(5) საუნივერსიტეტო კურსები: მომზადდა ორი სამაგისტრო კურსი: 1. დეცენტრალიზაცია და სამოქალაქო მონაწილეობა და 2.ფისკალური დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება. კურსები მომზადდა ერასმუსის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ინსტიტუტის პროფესორების თანამონაწილეობით მომზადდა. 2011-2012 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში, ორივე კურსი ილიას უნივერისტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ჩაუტარდათ, ესწრებოდნენ ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც.

კავკასიური ინსტიტუტის პარტნიორი ორგანიზაციები

2011 წელს ინსტიტუტმა ერთობლივი პროექტები განახორციელა შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. ბრიტანული - *უსაფრთხო მსოფლიო* (SAFERWORLD)
2. ერაზმუსის უნივერსიტეტი
3. სოციალური ტრანსფორმაციის პროგრამა (MATRA)
4. ასოციაცია ტოლერანტი
5. ახალგაზრდა იურისთა ასოციაცია

დანართი

კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2011 წელს განხორციელებული პროექტები

1.
პროექტის დასახელება - რეპატრიანტთა ჰუმანიტარული დახმარება:
თვითრეპატრიაციის პრევენცია
დონორი - ევროკომისია
პარტნიორები: ასოციაცია "ტოლერანტი"
ჰუმანიტარული კველვების ცენტრი (SHR)
ხანგრძლივობა - 12. 2010 - 6. 2013.
მოცულობა - € - 124 414
პროექტის კოორდინატორი - ელენე ნოდია

2.
პროექტის დასახელება: პრესის თავისუფლება
დონორი - ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისათვის
ხანგრძლივობა - 01.05. 2011 - 31.12.2011
მოცულობა - € 26 890
პროექტის დირექტორი - გია ნოდია

3.

პროექტის დასახელება - ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ახალგაზრდების ინტეგრაცია საგანმანათლებლო და კულტურული ინიციატივების გზით
დონორი - ევანგელისტური განვითარების სამსახური
ხანგრძლივობა - 12.11. 2011 - 31.09.2013
მოცულობა - € 230 000
კოორდინატორი - სოფო ზვიადაძე, თიკო ტყეშელაშვილი

4.
პროექტის დასახელება - საქართველო და შვედეთი ბირთული გაუვრცელებლობის რეჟიმში: გლობალური, რეგიონალური და პრაქტიკული საითხები
დონორი - შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების სამმართველო; შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
ხანგრძლივობა - 10. 2010 - 4. 2011
მოცულობა - € - 9 500
კოორდინატორი - თამარ პატარაია

5.
პროექტის დასახელება - დემოკრატიული რეფორმების დღის წესრიგის შემუშავება
დონორი - დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED)
ხანგრძლივობა - 10.1.2010 - 32.5. 2011.
მოცულობა - $ 40 810
კოორდინატორი: თამარ პატარაია

6.
პროექტის დასახელება - ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორ ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლა
დონორები - ადგილობრივ მმართველობის რეფორმირების ინსტიტუტი და ღია საზოგადოების ინსტიტუტი
ხანგრძლივობა - 09.2010 -10.2011.
მოცულობა - $ 17 000
კოორდინატორი - თამარ პატარაია

7.
პრექტის დასახელება - კაჭრეთის დიალოგები: მრგვალი მაგიდა კარგ მმართველობაზე
დონორი - ფონდის - ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისათვის
ხანგრძლივობა - 2011 1 აპრილი 2011-31 დეკემბერი 2011
მოცულობა - €26,890
კოორდინატორი - თამარ პატარაია

8.
პრექტის დასახელება - სიტუაციის ანალიზი სამცხე-ჯავახეთში
დონორი - ეუთო-ს უმცირესობათა კომისარი
ხანგრძლივობა - 21.02.2011 – 31.12.2011
მოცულობა - € 41 250
კოორდინატორი - მარინა ელბაქიძე

9.

პროექტის დასახელება - საქართველოში მიგრაციის კონტროლის და სამიგრაციო პოლიტიკის კოორდირების მექანიზმების გაუმჯობესება პოლონეთის გამოცდილების გამოყენებით
დონორი - მიგრაციის კონტროლის მექანიზმების გამუმჯობესების ვარშავის ფონდი
ხანგრძლივობა - 01.04.2011 – 31.12.2011
მოცულობა - € 74 047
კოორდინატორი - თიკო ტყეშელაშვილი

10.
პროექტის დასახელება - კონფლიქტის ეფექტური პრევენციის პირობების შექმნა 2008 წლის კრიზისის შემდგომ პერიოდში
დონორი - უსაფრთხო მსოფლიო
ხანგრძლივობა - 01.09.2009 - 01.05.2011.
მოცულობა - € 79 942
კოორდინატორი: თიკო ტყეშელაშვილი

11.
პროექტის დასახელება - სამოქალაქო საზოგადოების და ხელისუფლების დიალოგის გაღრმავება
დონორი - უსაფრთხო მსოფლიო
მოცულობა - € 16 565
ხანგრძლივობა - 01.07.2009 - 30.04.2011
კოორდინატორი: თიკო ტყეშელაშვილი

12.
პროექტის დასახელება - დეცენტრალიზაციის და ადგილობრივი მმართველობის რეფორმირების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ხეშეწყობა
დონორი - ნიდერლანდების საგარეო სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის დირექტორატი
ხანგრძლივობა - 1.4. 2010 - 31.3. 2013
მოცულობა - € 670 988
პროექტის კოორდინატორი - ლიკა სანიკიძე